

**სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში
ელექტრონული სწავლების განხორციელების კონცეფცია**

მუხლი 1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და ამოქმედების შემდეგ, რომელიც ადგენს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ან მისი ნაწილის წარმართვის წესს, უნივერსიტეტის სტრუქტურულ საგანმანათლებლო ერთეულებზე მოქმედებს მათ საგანმანათლებლო პროგრამებზე მორგებული, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ელექტრონული სასწავლო პროცესის ან მისი ნაწილის წარმართვისა და ადმინისტრირების წესი, რომელიც, შესაბამისობაშია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესთან და ამასთანავე, ითვალისწინებს ფაკულტეტის თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკასა და საჭიროებებს.

მუხლი 2. საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფციის მიზანია

1. ელექტრონული სწავლების განხორციელების კონცეფციის მიზანია, საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულებზე თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ელექტრონული კომპონენტების გამოყენებით სწავლის შედეგების მიღწევა.

მუხლი 3. სასწავლო კომპონენტის განხორციელებაში გამოყენებული ელექტრონული პლატფორმები

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც ელექტრონული ასინქრონული, ისე სინქრონული კომუნიკაციისათვის გამოყენებული უნდა იქნეს სჯსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა და სასწავლო პლატფორმა Moodle პროგრამა.
2. ელექტრონული სწავლების ასინქრონული და სინქრონული კომუნიკაციისათვის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებში აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა ონლაინ პლატფორმები პროგრამის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით.

მუხლი 4. პროცესის დაგეგმვა ელექტრონული სწავლებისათვის

1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულები პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან შეთანხმებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებთან კომუნიკაციით განსაზღვრავენ ელექტრონული სწავლების ფორმატს და სასწავლო პროცესებში ელექტრონული კომპონენტების გამოყენების კოორდინირების მიზნით ქმნიან ელექტრონული სწავლების გეგმას.

2. თითოეული ფაკულტეტის დეკანი რექტორის მიერ დანიშნულ ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფთან (რომელშიც ჩართულია ფაკულტეტის ერთი ან/და მეტი წევრი) ერთად კოორდინირებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ რეჟიმში განხორციელებას.
3. თითოეული ფაკულტეტის დეკანი ახორციელებს მონიტორინგს ელექტრონული სწავლების როგორც ასინქრონული, ისე სინქრონული სწავლების შემთხვევაში სჯსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემაში და სასწავლო პლატფორმაზე Moodle პროგრამაში ატვირთული მასალების, ბმულების და სხვა განხორციელებული აქტივობის ცხრილით მითითებულ დროს ყოველკვირეული ლექციის აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის მიწოდებას. სასწავლო კურსზე დარეგისტრირებული ყველა სტუდენტის წვდომას მიმდინარე ლექციებზე. უზრუნველყოფს შედეგების პერიოდულ წარდგენას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები შეთანხმებულად უზრუნველყოფენ ელექტრონული სწავლების ასინქრონული და სინქრონული კომუნიკაციისათვის აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის, აკადემიური თავისუფლების დაცვით, სწავლა/სწავლების მეთოდების, სასწავლო კურსების შესაბამისი აქტივობებისა და შეფასების ფორმებში ცვლილებების განხორციელებისათვის კონსულტაციების გაწევას;
5. ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უფლებამოსილი არიან არსებული არაპროგნოზირებადი მდგომარეობის გათვალისწინებით აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს (აკადემიური თავისუფლების დაცვით) შეთავაზონ:
 - გამარტივებული, ყველა სასწავლო კურსისთვის ადვილად მოსარგები, გასაგები და მოდიფიცირებული შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები შეფასების სისტემა;
 - ნებისმიერ სასწავლო კურსს, რომლის სილაბუსშიც გათვალისწინებულია ერთზე მეტი შუალედური გამოცდა, დაუწესოს მხოლოდ ერთი შუალედური გამოცდა, რომლის ფორმასა და ჩატარების პერიოდს, სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, ადგენს აკადემიური/მოწვეული პერსონალი (აკადემიური კალენდრის ვადების გათვალისწინებით) პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით (მოდიფიცირებული სილაბუსის წარმოდგენით).
 - აკადემიურ/მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია განსაზღვროს შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სწავლების ონლაინ რეჟიმში გადასვლის პირობების გათვალისწინებით.
 - სასწავლო გეგმაში კონკრეტული ცვლილებების შემთხვევაში, არანაკლებ ორი კვირით ადრე შეატყობინოს ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფსა და სტუდენტებს.
6. საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის/პროექტისა დისტანციურად დაცვის უზრუნველსაყოფად, ფაკულტეტის მიერ შედგენილი ნაშრომების დაცვის გრაფიკის გათვალისწინებით (თითოეულ ჯგუფში არაუმეტეს 10 სტუდენტი), დაცული იქნას პლაგიატის პრვენციის, აღმოჩენის და რეაგირების კომისიაზე შემოწმების პროცედურისა და რეცენზენტებისთვის გადაგზავნის ვადები.

7. იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომი/პროექტი ითვალისწინებს ისეთ კვლევით კომპონენტს, რომლის შესრულება ელექტრონული სწავლების ფორმატით შეუძლებელია, სტუდენტს შეუძლია:
- ფაკულტეტის დეკანატის შუამდგომლობით დააყენოს თემის მოდიფიცირების საკითხი და გააძლიროს ნაშრომის/პროექტის თეორიული საკითხი; ან/და ნაშრომი გადაიტანოს მომდევნო სემესტრში, რომელიც განიხილება ფაკულტეტის საბჭოს მიერ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 205, 2020 წლის 31 მარტი „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ მუხლი 2, პუნქტი 7.).
 - ფაკულტეტის დეკანატის შუამდგომლობით გონივრულ ვადაში შეცვალოს ნაშრომის/პროექტის თემა;
 - სურვილისამებრ აიღოს აკადემიური შვებულება, ნაშრომის/პროექტის სათანადოდ შესრულებისათვის ოპტიმალური პირობების დადგენამდე.
8. წერითი დავალება, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ სამუშაოს, შეფასებისთვის განკუთვნილ ვადებში უნდა ატვირთოს Moodle-ის პროგრამაში, პედაგოგი ვალდებულია ნაშრომი შეამოწმოს პლაგიატის პროგრამაზე „TURNITIN“, სტუდენტს მისცეს უკუკავშირი (Feedback) პროგრამაშივე და შემდეგ მოახდინოს მისი შეფასება. წერითი ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმები სტუდენტისათვის წინასწარ უნდა იქნეს ცნობილი.
9. წერითი დავალება (ესე, ქვიზი, დილემა და სხვ.) სტუდენტს ეძლევა წინასწარ. ალტერნატიული დავალებები ეგზავნება სტუდენტს, იგი ასრულებს წერით დავალებას და შეფასებისთვის დათქმულ დროს, სტუდენტი საკუთარი ნაშრომის დაცვას (ანალიზს) პედაგოგის წინაშე განხორციელებს on-line რეჟიმში (პირისპირ დიალოგის რეჟიმში). საკითხები, რომელიც უნდა დაწეროს და გადაუგზავნოს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შეთანხმებული ფორმატით, ამ შემთხვევაში დავალების შინაარსი ანალიტიკურია, ითხოვს სტუდენტისგან მოვლენების შეფასება-გაანალიზებას.
10. აკადემიური კალენდრით გათვალისწინებული შუალედურ/დასკვნით/დამატებით შეფასებებზე სტუდენტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა (on-line ჩართვაში მონაწილეობის არ მიღება, ზეპირი/წერითი დავალების შეუსრულებლობა და ა.შ.) იწვევს შეფასების მოცემულ კომპონენტში 0 ქულით შეფასებას (გარდა განსაკუთრებული საპატიო შემთხვევებისა, რომლის დასაბუთება იქნება შესაძლებელი);
13. სწავლის შედეგების მისაღწევად შეფასებების პროცესში გათვალისწინებული ფაქტების გამოვლენისას (ექსტრემალური ვითარება), რომელიც წინამდებარე წესით არ არის წარმოდგენილი, საკითხი გადაწყდეს უნივერსიტეტის რეგულაციებისა და ფაკულტეტის შეთანხმების საფუძველზე.
14. მიმდინარე სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასრულებისას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა თითოეულმა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და დეკანთან სემესტრის დასრულებისთანავე სასწავლო კურსის განხორციელების შესახებ წარმოადგინოს ანგარიში, მიღწეული შედეგების, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებით.

შენიშვნა:

Online სწავლების თავისებურებები - რჩევები

- შედით ვირტუალურ სივრცეში რამდენიმე წუთით ადრე რომ შეამოწმოთ ყველა ვიდეო და ხმოვანი კავშირი. თუ გყავთ დამხმარეები, იზრუნეთ რომ გააცნოთ მათ თქვენი გეგმა და მათი მონაწილეობის ხარისხი.
- სტუდენტებს სთხოვეთ ივარჯიშონ აღნიშნულ ეტიკეტზე და ყურადღება მიაქციონ მიკროფონების მდებარეობას რომ შემთხვევით არ დააგდონ, ან ქაღალდებით არ დაფარონ.
- დაამკვიდრეთ თვით-დასახელების (Self-Identification) ტრადიცია - ისეთი ონლაინ სწავლების დროს, როცა ერთი ადგილიდან რამდენიმე სტუდენტი არის ჩართული, სტუდენტმა პირველ რიგში უნდა წარმოგვიდგინოს საკუთარი თავი. შემდეგ დასვას კითხვა ან გაგვიზიაროს მოსაზრება. ვიდრე მონაწილეები მიეჩვენებიან ამ წესს, კარგი იქნება თუ ინსტრუქტორი და/ან მისი დამხმარეები შეახსენებენ გამომსვლელებს ამ წესს.
- განსაკუთრებით დიდი თავყრილობები ჯგუფებად შეიძლება დაყოფი. დიდ ჯგუფებში განხილვებამდე, სასწავლო დროის ნაწილი დაუთმეთ მცირე ჯგუფში განხილვებს, შემდეგ შეაერთეთ ისინი დიდ ჯგუფში. პატარა ჯგუფების თითო წარმომადგენელი იყოს თავისი ჯგუფის შუამავალი დიდ ჯგუფში განხილვისას. ამას შეუხამეთ თვით-დასახელების პრაქტიკა, ოღონდ დაამატებინეთ შუამავალს ჯგუფის ნომერი ან სახელი. დიდ ჯგუფში განხილვისას განხილვის დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ სლაიდები ჯგუფების ან გუნდების სახელებით და წევრების სიებით.
- როდესაც აწვდით წარდგენას (presentation), აზიარებთ ეკრანს, ფაილებს ან ვიდეოებს, გახსოვდეთ რომ უნდა გაითვალისწინოთ 2-3 წამიანი დაგვიანება გადაცემისას. იგივე ეხება ხმას. დაყოვნდით თვენი კომენტარების შემდეგ და მიეცით დრო პასუხისთვის სტუდენტებს ვიდრე გააგრძელებთ შემდეგ მოქმედებებს.
- რეგულარულად შეამოწმეთ სტუდენტებთან კავშირი და დაშორებული სტუდენტის შესაძლებლობა ნახოს და მოისმინოს ყველა და ყველაფერი გამზავნი ადგილიდან.
- მონაწილე ონლაინ ლექციაზე უნდა ჩანდეს თავისი სახელით და გვარით. დაუშვებელია მეტსახელების გამოყენება.
- ლექციის დაწყებისას, სასურველია სტუდენტების მიკროფონები გამორთული იყოს. საუბრის დაწყების წინ, სტუდენტმა უნდა გამოიყენოს შეტყობინებათა სისტემა (chat), რათა ითხოვოს მისი მიკროფონის ჩართვა.
- გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთ სტუდენტს შეიძლება არ ჰქონდეს სათანადო სივრცე ონლაინ ჩართვისთვის, ამიტომ აუცილებელ მოთხოვნად ნუ აქცევთ ვიდეო გამოსახულების ჩართვას.
- დაამყარეთ მხედველობითი კავშირი იმ პირებთან, რომლებსაც ესაუბრებით. თუ ლექციას ატარებთ აუდიტორიიდან, უყურეთ კამერას და არა პროექტორს.
- შეინარჩუნეთ მხედველობითი კონტაქტი თავის დაქნევით და კამერაში ყურებით.
- გაითვალისწინეთ, რომ ონლაინ ჩართვის დროს სასურველია ყურსასმენების გამოყენება, რომ თქვენი კომპიუტერის მიერ გამოცემული ხმა უკან არ დაბრუნდეს მიკროფონის საშუალებით სხვებთან.

- აუდიტორიაში დაშორებული პირების ყურადღების შესანარჩუნებლად მიმართეთ მათ პირდაპირ. ყოველთვის იქონიეთ მოკლე და მკაფიო გეგმა. იზრუნეთ დღის წესრიგის/გეგმის მიწოდებაზე კურსის ყოველ სესიაზე სტუდენტებისთვის.
- დაუთმეთ დრო გამოკითხვასა და განხილვას, რათა სტუდენტები მეტად ჩააბათ პროცესში. მიეცით სტუდენტებს საკმარისი დრო პასუხისთვის. პასუხების მოფიქრებას დრო სჭირდება, ამასთან, შიგადაშიგ, ვიდეო თავყრილობების ტექნოლოგიებიც აგვიანებენ პასუხების მიწოდებას. დაშორებული მონაწილეები უნდა ახერხებდნენ უკუკავშირს რათა ინსტრუქტორმა იცოდეს, თუ მათ დაკარგეს კავშირი, არ ესმით, ან ვერ ხედავენ მნიშვნელოვან დეტალებს ეკრანზე.
- წარმოდგენის დროს სტუდენტებს მიეცით ანოტაციის ინსტრუმენტების გამოყენების უფლება.
- დროდადრო, სტუდენტები აქციეთ მომხსენებლებად, რომ შეძლონ მთელ აუდიტორიასთან თავისი მოსაზრებების, ნამუშევრების და პროექტების გაზიარება.
- მეტი თვალსაჩინოებისთვის ტექსტთან ერთად გამოიყენეთ თანმდევი გამოსახულება და ანიმაცია.
- მოარგეთ თქვენი ლექციის მასალები ეკრანით გაზიარების რეჟიმს. ტექსტის და გრაფიკული გამოსახულების მოცულობა უნდა იყოს ზომიერი.
- შექმენით თანმდევი ან ჩადგმული კითხვები რომ სტუდენტებმა აკეთონ ისინი ვიდეო მონაკვეთში ან მის შემდეგ.
- შეამოწმეთ ცოდნა ქვიზებით და თვით-შეფასებებით.
- სასურველია სხდომის მიმდინარეობის ჩაწერა და მათთვის გაზიარება, ვინც ვერ შეძლო დასწრება. ჩაწერის შესახებ აუცილებლად აცნობეთ წევრებს. ჩანაწერის ონლაინ გასაჯაროების წინ, კრიტიკულად შევაჯლოთ მას თვალი. საჭიროების შემთხვევაში დაამონტაჟეთ და ისე გაასაჯაროეთ.
- ჩანაწერის გაკეთებისას, ეკრანზე ნუ გამოიტანთ პირად ინფორმაციას და სხვა კონფიდენციალურ მონაცემებს, რადგან ისინი, უნებურად შეიძლება მოხვდეს სხვების თვალთახედვის არეში.
- ლექციის მიმდინარეობისას, შეიძლება რომელიმე ეტაპის ჩაწერა არ გვსურდეს. თუ ჩვენ ონლაინ პროგრამას გააჩნია ასეთი საშუალება, სჯობს დროებით შევაჩეროთ ჩაწერა და მოგვიანებით განვაახლოთ.
- ონლაინ ჩართვის შემდეგ დარწმუნდით, რომ სესია წარმატებით არის გამორთული და კვლავ პირდაპირ ეთერში არ ხართ.
- ონლაინ ჩართვის შემდეგ დარწმუნდით, რომ ჩანაწერის გაკეთება შეწყდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიტოვებული ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერება გადაივსება.
- ლექციაზე გარეშე პირების შემოსვლის წინააღმდეგ მიიღეთ ზომები. თუ საჭიროა, ცვალებით სესიის ID, ან დააყენეთ სესიის პაროლი.